**შპს „ფიტპასს ჯორჯია“ (ს/კ: 406271895)**
**მომსახურების პირობები, პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პოლიტიკა, მობილური აპლიკაციის გამოყენების პირობები, ვებ-გვერდითა და მობილური აპლიკაციით სარგებლობის წესები**

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს შპს „ფიტპასს ჯორჯიას“, საიდენტიფიკაციო კოდი: 406271895 (შემდგომში - „**კომპანია**“) მიერ შემოთავაზებული სერვისებით სარგებლობის პროცესში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.
წინამდებარე პირობებზე გაცნობითა და თანხმობის ღილაკის დაჭერით, თქვენ აცხადებთ თანხმობას, იმ წესებსა და პირობებზე რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში და რომელიც დაარეგულირებს თქვენს მიერ კომპანიის სერვისებით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენი მომსახურების გამოყენებამდე გირჩევთ ყურადღებით წაიკითხოთ და გაეცნოთ წინამდებარე პირობებს.

## მომსახურების პირობები

### 1. ტერმინთა განმარტება

1.1 ამ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს ექნებათ შემდეგი მნიშვნელობები:

1.1.1 **პროგრამა** - კომპანიის მიერ შერჩეული სერვისების ერთობლიობა (პაკეტი), რომლის მიწოდებასაც უზრუნველყოფს კომპანიის პარტნიორი სუბიექტი და რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიის მომხმარებლებისთვის.

1.1.2 **კლიენტი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელთანაც კომპანიას აქვს გაფორმებული კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულება და რომლის ფარგლებშიც კლიენტის თანამშრომლები (აგრეთვე მათი ოჯახის წევრები) სარგებლობენ კომპანიის მომსახურებით.

1.1.3 **მომხმარებელი** - კლიენტის თანამშრომელი ან/და მისი ოჯახის წევრი (მაქსიმუმ 5 ოჯახის წევრი), ფიზიკური პირი, რომელიც ჩართულია პროგრამაში და უფლება აქვს ისარგებლოს პარტნიორი სუბიექტის მიერ შეთავაზებული სერვისებით.

1.1.4 **თანამშრომელი** - კლიენტის მიერ დაქირავებული თანამშრომელი, რომელთანაც კლიენტს აკავშირებს შრომითი ხელშეკრულება ან სხვა ტიპის ხელშეკრულება რომლის საფუძველზეც თანამშრომელი ასრულებს სამუშაოს.

1.1.5 **სია/მომხმარებელთა სია** - იმ თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების სია, რომლებთაც უფლება აქვთ ისარგებლონ პროგრამაში არსებული სერვისებით და რომელსაც ადგენს კლიენტი. როგორც წესი, სია მოცემული იქნება Excel-ის ფაილის სახით, რომელსაც კომპანია კლიენტს უგზავნის და სადაც კლიენტი ავსებს თანამშრომლების ინფორმაციას კომპანიის მიერ მიცემული ინსტრუქციების შესაბამისად. სია ძალაში რჩება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

1.1.6 **პარტნიორი/პარტნიორი სუბიექტი** - პირი რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს კომპანიის კლიენტისა და მომხმარებლებისთვის სპორტული და რეკრეაციული სერვისების მიწოდებას, მობილური აპლიკაციის საშუალებით, პარტნიორების სია მოცემული არის კომპანიის ვებ-გვერდზე: www.fitpass.ge

1.1.7 **ერთჯერადი შესვლა** - მომხმარებლის მიერ კომპანიის რომელიმე პარტნიორი სუბიექტის მიერ შეთავაზებული ერთი სერვისის გამოყენება მომხმარებელის მიერ შერჩეულ დროსა და თარიღში, პარტნიორის სამუშაო საათების დროს და პარტნიორის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. ერთჯერადი შესვლა გულისხმობს მომხმარებლის მიერ ერთი კალენდარული დღის მანძილზე ერთი პარტნიორი სუბიექტის სერვისებით ერთხელ სარგებლობას.

1.1.8 **კონტროლიორი** - კომპანიის თანამშრომელი, რომელსაც უფლება აქვს შესამოწმებლად მივიდეს პარტნიორის დაწესებულებაში, მოახდინოს მომხმარებლის იდენტიფიკაცია და შეუსაბამობის გამოვლენა

1.1.9 **მობილური აპლიკაცია** - კომპანიის მიერ შექმნილი მობილური აპლიკაცია, რომელშიც ყველა მომხმარებელს აქვს საკუთარი ანგარიში/პროფილი და რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ისარგებლოს პარტნიორი სუბიექტის მიერ შეთავაზებული სერვისებით.

1.1.10 **საანგარიშო პერიოდი** - კალენდარული თვე, რომლის მანძილზეც მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპანიის სერვისებით. საანგარიშო პერიოდი იწყება თვის რომელიმე რიცხვში და მთავრდება მომდევნო თვის იმავე რიცხვში.

## 2. მუხლი. კომპანიის ვალდებულებები

2.1 კომპანია უზრუნველყოფს ყველა მომხმარებლისათვის შესაბამისი პროფილის/ანგარიშის შექმნას მობილურ აპლიკაციაში.

2.2 კომპანია ვალდებულია მომხმარებელს შესთავაზოს არანაკლებ 50 სხვადასხვა პარტნიორი სუბიექტის სერვისი.

2.3 თითოეულ მომხმარებელს, კომპანია სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

2.3.1 პროგრამაში შემავალ ყველა მომსახურებაზე წვდომა და სისტემის გამართული ფუნქციონირება.

2.3.2 პარტნიორი სუბიექტების მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

2.3.3 კომპანიის კონტროლიორის მეშვეობით, პარტნიორი სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

## 3. მუხლი. გადახდები

3.1 იმ შემთხვევაში თუ კი, კომპანიის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება კლიენტის მიერ, მაშინ მომსახურების ანაზღაურებასთან დაკავშირებული დეტალები, მათ შორის მომსახურების ყოველთვიური საფასური, დარეგულირდება კომპანიასა და კლიენტს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით.

3.2 იმ შემთხვევაში თუ კი, კომპანიის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება თავად მომხმარებლის მიერ, მაშინ მომხმარებელი ვალდებულია მომსახურების საფასური გადაიხადოს საბანკო გადახდის გზით, კომპანიის მიერ შემოთავაზებული გადახდის ფორმით. ასეთ

შემთხვევაში, მომხმარებელი წინასწარ გადაიხდის 1 თვის მომსახურების საფასურს (ერთი საანგარიშო პერიოდი) და უფლება ექნება ისარგებლოს კომპანიის მომსახურებით 1 თვის (ერთი საანგარიშო პერიოდის) მანძილზე.

3.3 მომხმარებლის მიერ კომპანიის მომსახურების გადახდის შემდეგ, შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, მოხდება მობილურ აპლიკაციაშ მომხმარებლის ანგარიშის/პროფილის დეაქტივაცია, მანამდე ვიდრე მომხმარებელი კვლავ არ გადაიხდის შემდეგი საანგარიშო პერიოდის მომსახურების თანხას, რის შედეგადაც ანგარიში/პროფილი ავტომატურად გააქტიურდება.

3.4 იმ შემთხვევაში თუ კი  კომპანიის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება თავად მომხმარებლის მიერ, მაშინ შესაბამისი მომენტისთვის კომპანიის ყოველთვიური მომსახურების საფასურის ოდენობა დაფიქსირებული/განთავსებული იქნება მომხმარებლის სარეგისტრაციო ონლაინ ბმულზე/ლინკზე, რომლის საშუალებითაც მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს მომსახურების საფასური.

3.5 კომპანია უფლებას იტოვებს ცალმხრივი გადაწყვეტილებით შეცვალოს (გაზარდოს ან შეამციროს) მომსახურების საფასური. კომპანია მომხმარებელს შეატყობინებს ფასის გაზრდის შესახებ, არანაკლებ იმ თარიღამდე 25 დღით ადრე როცა გაზრდილი ფასი ძალაში უნდა შევიდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, შეცვლილი ფასი, არ გავრცელდება იმ საანგარიშო პერიოდზე, რომლის თანხაც მომხმარებელს უკვე გადახდილი აქვს.

## 4. მუხლი. მომსახურების ვადა და შეწყვეტა

4.1 წინამდებარე დოკუმენტი (პირობები) ძალაში შედის მომხმარებლის მიერ მასზე თანხმობის დაფიქსირების მომენტიდან.

4.2 იმ შემთხვევაში თუ კი კომპანიის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება კლიენტის მიერ, მაშინ საანგარიშო პერიოდის დაწყების და დასრულების თარიღები განისაზღვრება კომპანიასა და კლიენტს შორის არსებული მომსახურების ხელშეკრულებით.

4.3 იმ შემთხვევაში თუ კი კომპანიის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება თავად მომხმარებლის მიერ, მაშინ საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის დღიდან და გრძელდება მომდევნო კალენდარული თვის იმავე რიცხვამდე, რა რიცხვშიც მომხმარებელმა გადაიხადა მომსახურების საფასური.

4.4 მომხმარებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს მომსახურების მიღების გაგრძელებაზე შემდგომი საანგარიშო პერიოდიდან. მომხმარებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს შესაბამის საანგარიშო პერიოდზე გადახდილი მომსახურების საფასურის უკან დაბრუნება.

## 5. მუხლი. ფორსმაჟორი

5.1 კომპანია ან/და მომხმარებელი თავისუფლდებიან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მათი შესაბამისი ვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას და ფორს-მაჟორული გარემოებების ფარგლებში, რაც გულისხმობს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვა შესაბამისი მხარის ნების გარეშე და რომლის დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება

შესაბამისი მხარის გონივრულ შესაძლებლობებს, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ომს, მასობრივ არეულობებს, სამოქალაქო არეულობებს, რევოლუციებს, გაფიცვებს, პანდემიებს, ბლოკადებს, უბედურ შემთხვევებს, საგანგებო მდგომარეობას, ხანძრებს, წყალდიდობებს თუ სხვა ბუნებრივ მოვლენებს, ემბარგოებს, სამთავრობო აქტებს, ნებისმიერი მესამე პირის ნებისმიერი სახის კანონიერ თუ უკანონო ქმედებას ან აქტს, რომლის შედეგად შეუძლებელია ვალდებულებების შესრულება. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის ნებისმიერი ისეთი ცვლილება, რომელიც აუარესებს რომელიმე მხარის სამართლებრივ მდგომარეობას, გავლენას ახდენს მხარეთა მიერ შესასრულებელი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების შესაძლებლობაზე, ვადებსა და/ან ხარჯებზე, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ადგილობრივი, ცენტრალური, სახელმწიფო, სამთავრობო, მმართველობის, თვითმმართველობის, მარეგისტრირებელი თუ სხვა უწყების ნებისმიერი არასახარბიელო სამართლებრივი აქტი და/ან მოქმედება განიხილება, როგორც ფორს-მაჟორული გარემოება.

5.2 ნებისმიერი ასეთი ფორს-მაჟორული გარემოება ათავისუფლებს მხარეებს ურთიერთ-ვალდებულებებისაგან ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებების ფარგლებში, და მხარეთა მიერ პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებელი ვადა გადავადებულ უნდა იქნეს ამგვარი შემთხვევის ხანგრძლივობის პროპორციულად.

**პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პოლიტიკა**

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს იმ წესებსა და პირობებს, რომლის საფუძველზეც, კომპანია მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის მიზნით, შეაგროვებს და დაამუშავებს მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს. თუ თქვენ სარგებლობთ კომპანიის მომსახურებით თქვენი/თქვენი ოჯახის წევრის დამსაქმებელ ორგანიზაციასა და შპს „ფიტპასს ჯორჯიას“ შორის გაფორმებული კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, მაშინ თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით, კომპანია თქვენს პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს ამ დოკუმენტში მოცემული პირობების შესაბამისად.
2. კომპანია აგროვებს და დაამუშავებს მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ მომსახურების გაწევის, გაწეული მომსახურების მონიტორინგისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, სტატისტიკის წარმოების და ნებისმიერი სხვა იმ მიზნისთვის, რაც არ სცდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის სრულფასოვანი მომსახურების გაწევის მიზანს. კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ არ გამოიყენებს პერსონალურ მონაცემებს ნებისმიერი სხვა მიზნისთვის, არ გადასცემს მას ნებისმიერ სხვა პირს თუ ეს არ არის განპირობებული კანონმდებლობის მოთხოვნით და სხვაგვარად არ დაარღვევს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებს.
3. კომპანია უფლებას იტოვებს შეაგროვოს და დაამუშავოს შემდეგი მონაცემები:
   - მომხმარებლის სახელი და გვარი;
   - მომხმარებლის  დაბადების თარიღი;
   - მომხმარებლის პირადი ნომერი;
   - მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი;
   - მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
   - მომხმარებლის კომპანიის პარტნიორ სუბიექტში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია.
   - მომხმარებლის ფოტო.
4. კომპანია მომხმარებლის მონაცემებს გაუმჟღავნებს მხოლოდ მის პარტნიორ სუბიექტებს მხოლოდ იმ მიზნით, რათა მოხდეს მომხმარებლის იდენტიფიცირება. კომპანია აგრეთვე უფლებას იტოვებს

მომხმარებლის მონაცემები ინფორმაცია გაუმჟღავნოს ნებისმიერ სხვა მესამე პირს, თუ ეს საჭიროა კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად და მომხმარებლისათვის სრულფასოვანი მომსახურების გასაწევად.

5. კომპანია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. კომპანია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, დაამუშაოს მომხმარებლის შესახებ 3-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (კერძოდ - მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი), მათ შორის, შესაბამისი კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგ.
7. გარდა 6-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მომხმარებლისათვის ნებისმიერი მიზეზით მომსახურების მიწოდების/ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებლების პერსონალურ მონაცემების განადგურებას გონივრულ ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ კი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ მონაცემების შენახვის ვალდებულებას.
8. კომპანია უფლებას იტოვებს, მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის შეწყვეტის/მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაცია გაუმჟღავნოს შესაბამის დამსაქმებელს (ორგანიზაციას) რომელთანაც გაფორმებული არის კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულება.
9. მომხმარებლების პერსონალურ მონაცემთა შენახვა განხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში შემავალ რომელიმე ქვეყანაში არსებულ ბაზაზე[1].
10. მომხმარებლის პერსონალური მონაცემების წაშლა/განადგურება გულისხმობს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების წაშლას/განადგურებას მათ შორის 9-ე პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყანაში მდებარე სერვერზე.

## მობილური აპლიკაციის გამოყენების პირობები

1. მომხმარებელს კომპანიის სერვისებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მობილური აპლიკაციის გამოყენებით. მობილური აპლიკაციის გამოყენება ხდება აპლიკაციაში მომხმარებლის პერსონალური აქტიური პროფილის/ანგარიშის საშუალებით.
2. იმისათვის რათა მომხმარებელმა გამოიყენოს პარტნიორი სუბიექტის სერვისები, მომხმარებელი ვალდებულია პარტნიორ სუბიექტში ვიზიტისას თან ჰქონდეს მოწყობილობა რომელზეც გააქტიურებულია მისი ანგარიში/პროფილი მობილურ აპლიკაციაში. მომხმარებელი ვალდებულია კომპანიის სერვისებით სარგებლობისას ყოველთვის თან იქონიოს მისი პირადობის მოწმობა ან პასპორტი.
3. კომპანიის და პარტნიორის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ მომხმარებლის ვინაობა და მოახდინონ მისი იდენტიფიკაცია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ მომხმარებელი არღვევს მობილური აპლიკაციის გამოყენების წესებს, კომპანიას უფლება აქვს მომხმარებელს დაუბლოკოს პროფილი/ანგარიში.
4. მომხმარებელი ვალდებულია დაემორჩილოს იმ პარტნიორი სუბიექტის მიერ დადგენილ წესებს და პირობებს, რომლის სერვისებითაც სარგებლობს, მათ შორის, თუმცა არამხოლოდ, სამუშაო საათების დასაწყისი და დასასრული და სხვა რეგულაციები.

[1] სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა დამტკიცებული არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №03 ბრძანებით.

5. პარტნიორი უფლებამოსილია მოითხოვოს დეპოზიტის გადახდა მომხმარებლისგან, თუ კი მომხმარებელს სურს ადგილის დაჯავშნა პარტნიორთან. ასეთ შემთხვევაში, დაჯავშნასთან დაკავშირებული დეტალები დარეგულირდება თავად პარტნიორის მიერ დადგენილი წესებით და მომხმარებელი ვალდებული იქნება მას დაემორჩილოს.
6. პარტნიორს უფლება აქვს მომხმარებლისგან მოითხოვოს დამატებითი თანხის გადახდა მომხმარებლის მიერ დამატებითი მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ კი ეს ცალსახად გაცხადებული არის კომპანიის ვებგვერდზე, ან თუ კი ეს გაცხადებული იქნა მომხმარებლისთვის საჯაროდ ან ნებისმიერი სხვა გზით.
7. კომპანია მომხმარებელს ურჩევს რომ წინასწარ დაუკავშირდეს პარტნიორ სუბიექტს რათა დაჯავშნოს ადგილი ჯგუფურ აქტივობებში და გაარკვიოს პარტნიორი სუბიექტისგან ამა თუ იმ სერვისის მიღებასთან დაკავშირებული წესები.
8. ნებისმიერი ინფორმაცია კომპანიის მიერ მიწოდებულ სერვისებზე შესაძლებელია მოძიებული იქნეს კომპანიის ვებგვერდზე: www.fitpass.ge, ან მომსახურების ცენტრთან დაკავშირების გზით.
9. დაუშვებელია მომხმარებლის მიერ ფიტპასის მობილურ აპლიკაციაში მისი პროფილის გაზიარება ნებისმიერი სხვა პირისთვის, აგრეთვე დაუშვებელია მომხმარებლის მიერ სხვა მომხმარებლისთვის უფლების მიცემა რომ ისარგებლოს მისი პროფილით/ანგარიშით. აკრძალულია მომხმარებლის მიერ სხვა მომხმარებლის მობილური ტელეფონის/მოწყობილობის ან/და პროფილის/ანგარიშის საშუალებით სერვისებით სარგებლობა. მომხმარებელი ვალდებულია ფიტპასის მობილურ აპლიკაციაში დააფიქსიროს ის ტელეფონი/მოწყობილობა რომლის საშუალებითაც იგი გამოიყენებს საკუთარ პროფილს/ანგარიშს და ისარგებლებს სერვისებით („**მთავარი მოწყობილობა**“). მომხმარებლის მიერ საკუთარი პროფილის/ანგარიშის სხვა მობილურ ტელეფონზე/მოწყობილობაზე გააქტიურება და სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი იგი წინასწარ შეატყობინებს ამის შესახებ კომპანიას და მოითხოვს სხვა მობილური ტელეფონისთვის/მოწყობილობისთვის მთავარი მოწყობილობის სტატუსის მინიჭებას. მომხმარებელი ვალდებულია გაითვალისწინოს და დაემორჩილოს იმ პირობებს და წესებს რასაც კომპანია დაადგენს და რაც მოცემული იქნება ფიტპასის მობილურ აპლიკაციაში, აგრეთვე კომპანიის სოციალურ ქსელებში და საკომუნიკაციო ჯგუფებში, ან რაც გაცხადებული იქნება კომპანიის მიერ მომხმარებლისათვის ნებისმიერი სხვა ფორმით.
10. კომპანია უფლებამოსილია შეცვალოს მობილური აპლიკაციის გამოყენების პირობები კლიენტისათვის არანაკლებ 30 დღით ადრე ელექტრონული ან წერილობითი ფორმით შეტყობინების შემთხვევაში.

## ვებ-გვერდითა და მობილური აპლიკაციით სარგებლობის წესები (ინტერაქტიული სერვისები)

### 1. ზოგადი პირობები

1.1 წინამდებარე მომსახურების პირობები (შემდგომში - „**პირობები**“) დაარეგულირებს კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებული ინტერაქტიული სერვისის გამოყენების ფორმებსა და სახეებს.

1.2 კომპანიის ინტერაქტიული სერვისის მიწოდება ხდება www.fitpass.ge ინტერნეტ გვერდისა და Apple Store-ში, Google Play-სა და HUAWEI AppGallery-ში არსებული მობილური აპლიკაციის მეშვეობით და იმყოფება კომპანიის ექსკლუზიურ საკუთრებაში (შემდგომში - „**ინტერაქტიული სერვისი**“).

1.3 ინტერაქტიული სერვისი კომპლექსურია და მოიცავს კონტენტ მენეჯმენტს, ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებას, სპორტულ და სხვა დაწესებულებებში სერვისების გაყიდვების ორგანიზებასა და შუამავლობას კომპანიის პარტნიორებთან ასევე, ინტერნეტ სერვისების უზრუნველყოფას.

1.4 ინტერაქტიული სერვისის გამოყენება მომხმარებლის მიერ ნიშნავს, რომ მომხმარებელი სრულად აცნობიერებს და ეთანხმება პირობებს და კონფიდენციალობის პოლიტიკას.

1.5 ინტერაქტიული სერვისის ნებისმიერი შემდგომი გამოყენება მომხმარებლის მიერ პირობებისა და კონფიდენციალობის პოლიტიკის გაცნობის შემდეგ ნიშნავს, რომ მომხმარებელი ეთანხმება წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ წესებს და რომ მომხმარებელი თანხმდება გამოიყენოს ინტერაქტიული სერვისი ამ წესების დაცვით.

1.6 თუკი მომხმარებელი ინტერაქტიულ სერვისს იყენებს, უნდა ჩაითვალოს, რომ მომხმარებელი დაეთანხმა იმას, რომ ინტერაქტიული სერვისის ყველა კომუნიკაცია და ურთიერთქმედება შესაბამისობაში უნდა იყოს წინამდებარე პირობებთან.

1.7 თუკი მომხმარებელი რეგისტრირდება და ქმნის მომხმარებლის ანგარიშს ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით ან გადის ავტორიზაციას აპლიკაციაში, ითვლება რომ მომხმარებელს სრულად აქვს წაკითხული ეს პირობები და ეთანხმება მას.

## 2. კომპანიის საავტორო უფლება

2.1 ინტერაქტიული სერვისის ფარგლებში არსებული მთელი მასალა დაცულია კანონით, მასზე უფლებები ეკუთვნის კომპანიას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს საავტორო უფლების მფლობელის და სავაჭრო ნიშნისა თუ მოდელის უფლებების მფლობელის თანხმობის საფუძველზე.

2.2 ინტერაქტიული სერვისი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დანაწილდეს, რეპროდუცირდეს, გადაეცეს, დაკავშირებულ იქნეს, გამოქვეყნდეს თუ მოდიფიცირდეს კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2.3 სავაჭრო ნიშნის, მოდელისა თუ ნებისმიერი სხვა საავტორო უფლების ან საკუთრების უფლების დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგებს.

2.4 მომხმარებელს არ შეუძლია არც სრულად და არც ნაწილობრივ მოდიფიცირება მოახდინოს, გამოაქვეყნოს, გადასცეს, მიიღოს მონაწილეობა გადაცემასა თუ გაყიდვაში ან სხვა ნებისმიერი გზით გამოიყენოს ნებისმიერი კონტენტი, რომელიც ინტერაქტიული სერვისის ფარგლებშია ხელმისაწვდომი. ჩამოტვირთული მასალები არ შეიძლება რეპროდუცირდეს, გადანაწილდეს, უკან გადაეცეს, ხელახლა გაიცეს გამოყენებული იქნეს კომერციული მიზნებისთვის.

## 3. ცვლილებები

3.1 კომპანია იტოვებს უფლებას, გააუქმოს ან ცვლილება შეიტანოს წინამდებარე დოკუმენტში, წინასწარი შეტყობინების გარეშე და ნებისმიერ დროს.

3.2 პირობებში რაიმე შესწორების შეტანის შემთხვევაში, თუ მომხმარებელი კვლავაც განაგრძობს ინტერაქტიული სერვისებით სარგებლობას, უნდა ჩაითვალოს, რომ მომხმარებელი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

3.3 პირობებში განხორციელებული ნებისმიერი შესაძლო ცვლილება შეეხება მათ შორის მესამე მხარეებს (იმ პირებს), რომლებიც არ არიან მომხმარებლები, ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით მათი გამოქვეყნებისთანავე.

## 4. ინტერაქტიული სერვისის გამოყენების წესები და კონტენტი

4.1 მომხმარებელმა ინტერაქტიული სერვისი უნდა გამოიყენოს მხოლოდ მოქმედი რეგულაციების, საზოგადოებრივი წესრიგის, საუკეთესო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2 ინტერაქტიული სერვისის სავარაუდო გამოყენება გულისხმობს კომპანიის სერვისების გამოყენებას, მომხმარებლის გამოცდილების გაცვლას კომპანიასთან და მომხმარებელთა შორის გამოცდილების გაცვლას, ინტერაქტიული სერვისით გათვალისწინებული ფორმით.

4.3 მომხმარებელი არაა უფლებამოსილი გამოაქვეყნოს, გადასცეს ან ხელმისაწვდომი გახადოს რაიმე შეურაცხმყოფელი თუ კანონსაწინააღმდეგო მასალა ნებისმიერი მეთოდით ინტერაქტიული სერვისის ფარგლებში, მაგალითად, შეურაცხმყოფელი, სახელის გამტეხი, მადისკრედიტირებელი, ცილისმწამებლური კონტენტი ან კონტენტი, რომელიც ნებისმიერი პირის კონფიდენციალობას არღვევს და ა.შ. ან კანონით აკრძალული კონტენტისა და ფორმის მქონე სხვა მასალები.

4.4 კომპანია იტოვებს უფლებას დამოუკიდებლად შეაფასოს, არაკეთილსინდისიერად იმოქმედა თუ არა მომხმარებელმა ან დაარღვია თუ არა თავისი ვალდებულებები.

4.5 ინტერაქტიული სერვისის გამოყენების განმავლობაში, ინტერაქტიული სერვისის მომხმარებელი ვალდებულია არ ჩართოს ინტერაქტიული სერვისის ერთზე მეტი მოწყობილობა აპლიკაციის გამოსაყენებლად და დაასკანეროს QR კოდი ინტერაქტიული სერვისის გამოყენებისთვის, რომლის უზრუნველყოფასაც ახორციელებენ კომპანიის პარტნიორები.

4.6 მომხმარებელი ვალდებულებას იღებს, კეთილსინდისიერად გამოიყენოს ინტერაქტიულ სერვისში ჩართული მოწყობილობა და არ გახადოს იგი ხელმისაწვდომი ან არ უზრუნველყოს სხვა ნებისმიერი მხარისთვის მოწყობილობაზე თუ ინტერაქტიულ სერვისზე წვდომა ინტერაქტიული სერვისის გამოწერის თავიდან აცილების მიზნით, ანუ მხოლოდ იმ ანგარიშის მომხმარებელს, რომელთანაც დაკავშირებულია მოწყობილობა, შეუძლია გამოიყენოს ინტერაქტიული სერვისი.

4.7 კომპანია იტოვებს უფლებას შეწყვიტოს მობილური აპლიკაციის მეშვეობით მიწოდებული პარტნიორთა სერვისები მომხმარებლის არაკეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევაში და შეწყვიტოს მომხმარებლის მიერ გამოწერა, უკვე გადახდილი თანხების ანაზღაურების უფლების ან დარჩენილი პირობების გამოყენების უფლების გარეშე, კომპანიისთვის და კომპანიის პარტნიორებისთვის მომხმარებლის არაკეთილსინდისიერი ქცევით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის ფორმის სახით.

4.8 ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით კომპანია უზრუნველყოფს სპორტულ და რეკრეაციულ აქტივობებზე წვდომას შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე და ასევე, სთავაზობს და უზრუნველყოფს ინტერაქტიული სერვისის ფარგლებში ხელმისაწვდომ სხვა სერვისებს/პროდუქტებს.

4.9 კომპანია უზრუნველყოფს ინტერაქტიული სერვისის ფარგლებში ხელმისაწვდომ ყველა სერვისს იმ წინამდებარე პირობების შესაბამისად, რომელიც მოქმედია მომხმარებლის მიერ შეთავაზების მიღების თარიღისთვის.

4.10 მომხმარებელი ერთპიროვნულად პასუხისმგებელი იქნება ინტერაქტიული სერვისისთვის გამოსაყენებელი აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვასა და ტექნიკურ მომსახურებაზე, ხოლო თუკი მომხმარებელი არ იყენებს თავის აღჭურვილობას და პროგრამულ უზრუნველყოფას, მომხმარებელი ერთპიროვნულად პასუხისმგებელი იქნება იმ აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევაზე, რომელსაც მომხმარებელი იყენებს ინტერაქტიულ სერვისზე წვდომისათვის. მომხმარებელი ასევე პასუხისმგებელი იქნება ინტერაქტიულ სერვისზე წვდომისა და მისი გამოყენებისთვის საჭირო აღჭურვილობაზე და ასევე, ერთპიროვნულად გაწევს ყველა ხარჯს, დაკავშირებულს წვდომისთვის საჭირო ასეთი აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან.

4.11 კომპანიის სერვისების ფასები მოცემულია ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით და ეს ფასები მოიცავს დღგ-ს.

4.12 კომპანიის სერვისების შეთავაზება ხდება ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით, ასევე სხვადასხვა მომხმარებლებისთვის ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებული სერვისის პაკეტების მეშვეობით, სადაც ინდივიდუალური პაკეტების პირობები არ შეიძლება შეიცვალოს; მომხმარებლის მიერ სერვისზე დათანხმება ნიშნავს სრულ პაკეტზე დათანხმებას.

4.13 ინტერაქტიული სერვისის ნებისმიერი პაკეტი უზრუნველყოფს სპორტულ ობიექტებზე წვდომას, რომლებიც ინტერაქტიულ სერვისში გამოქვეყნებულია სერვისის პროვაიდერებად, და მისი გამოყენება უნდა შეიზღუდოს იმ თითოეული ინდივიდუალური ობიექტის გამოყენების პირობებით, რომელზეც კომპანია არ არის პასუხისმგებელი.

4.14 კომპანია არ არის მფლობელი და არ აქვს პროდუქტები/სერვისები, რომლებსაც იგი სთავაზობს ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით საკუთარ მფლობელობაში. ყველა პრობლემასა და ხარვეზზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას სპორტული და რეკრეაციული ობიექტების გამოყენების დროს, პროდუქტის/სერვისის მიწოდების ან დეფექტების ჩათვლით, კომპანიის პარტნიორები, რომელთა პროდუქტების შეთავაზებაც ხდება ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით, ერთპიროვნულად პასუხისმგებელი იქნებიან.

4.15 ინტერაქტიული სერვისის ნებისმიერი პაკეტის გამოყენების წინაპირობაა ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით მომხმარებლის ანგარიშის გახსნა.

4.16 მომხმარებლის ანგარიშის გახსნა ხდება მომხმარებლის ანგარიშის არსებული ფორმის შევსებით, სადაც მომხმარებლის დეტალები უნდა იქნეს შეტანილი, ხოლო კორპორაციული მომხმარებლების შემთხვევაში, სპეციალური ფორმა უნდა შეივსოს და კომპანიასთან ხელშეკრულებას მოეწეროს ხელი.

4.17 მომხმარებლის ანგარიშის გახსნით, მომხმარებელი ადასტურებს, რომ იგი სრულად ეთანხმება პირობებს და რომ წაკითხული, გაცნობიერებული და მიღებული აქვს ასეთი პირობები.

4.18 თუკი მომხმარებელი შეწყვეტს სერვისების მიღებას, იგი არ იქნება უფლებამოსილი კომპენსაციის მიღებაზე, მაგრამ უფლება ექნება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ისარგებლოს სერვისებით.

4.19 კომპანია იტოვებს უფლებას, შეცვალოს ან გააუქმოს სერვისის უზრუნველყოფის ნებისმიერი პირობა ნებისმიერ დროს, იმ ფაქტის მიუხედავად, ასეთი ცვლილება უკავშირდება თუ არა სერვისის კონტენტსა თუ ამავე ინტერაქტიულ სერვისს. ცვლილებები, მათ შორის, მოიცავს ხელმისაწვდომობის პერიოდს, კონტენტსა და აღჭურვილობას, რომელიც საჭიროა ინტერაქტიულ სერვისზე წვდომისა თუ მისი გამოყენებისთვის.

4.20 კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს მის მიერ ინტერაქტიული სერვისის პაკეტების ფარგლებში შეთავაზებული სერვისების ფასი, რაოდენობა და ტიპი, და ასევე, ამავე სერვისის პაკეტების ტიპები, რომლებიც ექვემდებარება შეთავაზებებს, უზრუნველყოფილს პარტნიორთა მიერ, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფენ სერვისებს.

4.21 კომპანიას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა კომპანიის პარტნიორთა მიერ მიწოდებული სერვისებისა თუ ობიექტების ხელმისაწვდომობაში ცვლილების შემთხვევაში, ხოლო კომპანია თავის მომხმარებელს დროულად შეატყობინებს, მას შემდეგ, რაც კომპანია ინფორმირებული იქნება თავის პარტნიორთა მხრიდან.

4.22 მომხმარებელი ვალდებულებას იღებს, სერვისის თანხა გადაიხადოს კომპანიის მიერ დადგენილი წესით.

4.23 ყველა გადახდა განხორციელდება საქართველოს კანონიერი საგადასახადო საშუალებების (ლარი) გამოყენებით.

## 5. კონფიდენციალობა

5.1 მომხმარებლებმა უნდა წარმოადგინონ ზუსტი ინფორმაცია. კომპანია არ იქნება ვალდებული ასეთი ინფორმაციის ყოველი დეტალის შემოწმებაზე. თუკი ინტერაქტიული სერვისის მიწოდებისას კომპანია აღმოაჩენს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არაზუსტია, კომპანია უფლებამოსილი იქნება გააუქმოს ინტერაქტიული სერვისის გამოწერა, წაშალოს არაზუსტი ინფორმაციის შემცველი მომხმარებლის ანგარიში და შეატყობინოს თავის ყველა პარტნიორს.

5.2 მომხმარებელმა შეიძლება კომპანიისგან მოითხოვოს კომპანიის მიერ შენახული მომხმარებლის ინფორმაციის გადაცემა მომხმარებლისთვის საკონტაქტო ფორმის მეშვეობით, კომპანიის მიერ შენახული მომხმარებლის ინფორმაციის მისაწოდებლად და წასაშლელად. მომხმარებელს შეუძლია ამ ფორმის გამოყენება, თუკი მომხმარებელს სურს, რომ კომპანიის მონაცემთა ბაზიდან წაშლილ იქნეს თავისი ინფორმაცია. თუკი მომხმარებელს სურს, რომ მისი მონაცემები წაშლილი იყოს, კომპანია ვეღარ შეძლებს მომხმარებლისთვის ინტერაქტიული სერვისის მიწოდებას.

5.3 თუკი მომხმარებლის მონაცემები წაშლილია, მომხმარებელი ვეღარ შეძლებს ინტერაქტიული სერვისისა და იმ დარჩენილი პირობების რაოდენობის გამოყენებას, რომელიც მომხმარებელს ჰქონდა გამოწერილი.

## 6. კომუნიკაცია

6.1 მომხმარებელი თანხმდება, რომ ყველა კომუნიკაცია პირადი შეტყობინებების, ჩატის, ბლოგის, ფორუმისა თუ შეტყობინებების სხვა გაცვლის ან კომუნიკაციის მეშვეობით, იქნება საჯარო და არაკონფიდენციალური; ამდენად, კომპანიამ შეიძლება აკონტროლოს მომხმარებელთა შორის კომუნიკაციის შინაარსი, მათი მხრიდან ამის შესახებ ცოდნისა და სპეციალური თანხმობის გარეშე.

## 7. კომპანიის განაცხადი

7.1 მომხმარებელი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ინტერაქტიული სერვისისა და მისი კონტენტის გამოყენება მომხმარებლის ერთპიროვნული პასუხისმგებლობაა.

7.2 კომპანიის განაცხადი ტექნიკური ხარვეზების შესახებ:

7.2.1 მომხმარებელი აცნობიერებს და თანხმდება იმ ფაქტზე, რომ ზოგჯერ ინტერნეტქსელის გამოყენებისას შესაძლოა წარმოიშვას ინტერაქტიული სერვისის ტექნიკური პრობლემები და შეფერხება. ეს და მსგავსი მოვლენები კომპანიის კონტროლის სფეროს ფარგლებს გარეთაა; ამდენად, კომპანიას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მონაცემთა რაიმე ტიპის დაკარგვასა თუ სხვა ნებისმიერ მოვლენაზე, რომელიც შეიძლება მოხდეს ინტერაქტიული სერვისის მიწოდებისას.

7.2.2 მომხმარებელი თანხმდება იმაზე, რომ ინტერაქტიულ სერვისზე წვდომა ზოგჯერ შესაძლოა შეწყდეს, დროებით არ იყოს ხელმისაწვდომი ან შეჩერდეს ინტერაქტიული სერვისის დაგეგმილი ტექნიკური მომსახურების გამო ან იმ სხვა მიზეზების გამო, რომლებიც კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლებს სცდება.

7.2.3 კომპანია არავითარ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, რომელიც წარმოიშობა ინტერაქტიული სერვისის გამოყენებიდან თუ სრულად თუ ნაწილობრივ გამოყენების შეუძლებლობიდან. მომხმარებელი მკაფიოდ აცხადებს, რომ მომხმარებელი არ დააკისრებს კომპანიას, მის ფილიალებს, კომპანიის პასუხისმგებელ პირებს, თანამშრომლებსა და წარმომადგენლებს პასუხისმგებლობას შესაძლო ზარალისა და ხარჯებისთვის, ასევე იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯების ჩათვლით, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას მომხმარებლის მიერ ინტერაქტიული სერვისის გამოყენებიდან.

7.2.4 კომპანია და ნებისმიერი აფილირებული მესამე მხარე არავითარ შემთხვევაში არ იძლევა გარანტიას, რომ ინტერაქტიული სერვისი არ შეფერხდება ან რომ თავისუფალი იქნება ფუნქციონირების ნებისმიერი დარღვევებისგან. კომპანია არ უნდა და არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ინტერაქტიული სერვისის გამოყენებიდან წარმოშობილ შედეგებზე, ინტერაქტიული სერვისის მიერ მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის, სერვისისა თუ საქონლის სიზუსტეზე, სანდოობასა თუ შინაარსზე.

7.2.5 კომპანია გამორიცხავს ნებისმიერ პასუხისმგებლობას აღჭურვილობის, აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერ დაზიანებაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ინტერაქტიული სერვისის გამოყენების შედეგად.

7.2.6 წინამდებარე განაცხადი შეეხება ყველა შესაძლო ზარალსა თუ დაზიანებას, გამოწვეულს ნებისმიერი შეცდომით, წაშლით, შეფერხებით, კომპიუტერული ვირუსით, დეფექტით, ოპერაციული თუ გადაცემის შეფერხებით, საკომუნიკაციო არხის შეფერხებით, მოპარვით, კონტრაქტის შეწყვეტით, დესტრუქციით ან არასანქცირებული წვდომით, ჩანაწერების შეცვლით ან არასათანადო გამოყენებით, არამართლზომიერი ქცევით, დაუდევრობით ან სხვა ნებისმიერი ქმედებით.

7.2.7 ინტერნეტქსელის არსიდან გამომდინარე, კომპანია ვერ მოგცემთ ინტერაქტიული სერვისის გავლით გადაცემული რაიმე ინფორმაციის სრული დაცვის გარანტიას, ამგვარად, კომპანია არ უნდა და არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს იმ მესამე მხარეთა რაიმე შესაძლო მავნე ქმედებებზე, რომლებიც იღებენ და იყენებენ ან ასხვისებენ ასეთ ინფორმაციას თანხმობის გარეშე.

7.2.8 მომხმარებლის მიერ ინტერაქტიული სერვისის საჯარო ნაწილებში გამოქვეყნებული ინფორმაცია შეიძლება სხვა მომხმარებლებისა და მესამე მხარეებისთვისაც იყოს ხელმისაწვდომი და, როგორც ასეთი, იგი შესაძლოა გამოჩნდეს სხვა ინტერნეტგვერდებსა თუ ვებ-ბრაუზერებში მომხმარებლის ცოდნის გარეშე და ამ კომპანია არ უნდა და არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მომხმარებლის ნებისმიერ შესაძლო ზარალზე, რომელიც ამის შედეგად წამოიშვა.

7.3 კომპანიის განაცხადი მომხმარებლის ან მესამე მხარის პოსტებთან დაკავშირებით:

7.3.1 მომხმარებელი თანხმდება იმაზე, რომ კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი სხვა მომხმარებლებისა თუ მესამე მხარეების არასათანადო თუ არაკანონიერ საქციელზე და რომ ნებისმიერი შესაძლო ზარალი ერთპიროვნულად მომხმარებლის რისკს წარმოადგენს.

7.3.2 კომპანია არ იძლევა გარანტიას, რომ ნებისმიერი კონტენტი, რომელიც არსებობს ინტერაქტიული სერვისის ფარგლებში და გამოქვეყნებულია მომხმარებლის, მესამე მხარეთა ან არასანქცირებულ მომხმარებელთა მიერ, ზუსტია, სრულია ან სასარგებლოა.

7.3.3 კომპანია არ უნდა და არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ გაწეული რაიმე შესაძლო ზარალისა თუ ზიანისთვის, რომელიც მომხმარებელს მიადგა იმ ფაქტის გამო, რომ მომხმარებელი დაეყრდნო ინტერაქტიული სერვისის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციას.

7.3.4 კომპანია მკაფიოდ აცხადებს უარს ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე მესამე მხარის ინტერნეტგვერდებზე განთავსებული მასალების იმ კონტენტთან მიმართებით, რომელზე წვდომაც შეიძლება განხორციელდეს ინტერაქტიული სერვისის ფარგლებში. თუკი მომხმარებელი წვდომას ახორციელებს მესამე მხარის ინტერნეტგვერდებზე, მომხმარებლის წვდომა უნდა შესრულდეს ექსკლუზიურად და მხოლოდ მომხმარებლის ერთპიროვნული პასუხისმგებლობით, რაც ამგვარად გამორიცხავს კომპანიის რაიმე პასუხისმგებლობას.

7.3.5 კომპანია უარს აცხადებს ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე, თუკი მომხმარებლის პერსონალური ინფორმაცია გამოიყენება სხვა მხარეების მიერ სხვა ნებისმიერი მიზნით, გარდა იმ მიზნისა, რომლითაც იგი მიეწოდა ასეთ სხვა მხარეებს, რომლებსაც ასეთი

ინფორმაცია უნდა მიწოდებოდა; ამდენად, არ უნდა და არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს მომხმარებლისათვის ამ საფუძველზე მიყენებულ ნებისმიერ შესაძლო ზარალზე.

7.4 კომპანიის განაცხადი ინტერაქტიული სერვისებზე

7.4.1 კომპანია არ არის მფლობელი და არ აქვს პროდუქტები/სერვისები, რომელსაც იგი სთავაზობს თავისი ინტერაქტიული სერვისის მეშვეობით საკუთარ მფლობელობაში. ამგვარად, კომპანია არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს პროდუქტების/სერვისების შესაძლო იურიდიულ და არსებით ხარვეზებზე ან სხვა ნებისმიერ პრობლემასა და დეფექტებზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას შეთავაზებული სერვისების გამოყენების განმავლობაში. კომპანიის ნებისმიერი პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი პროდუქტების/სერვისების მიწოდებასთან თუ გაუმართავ მუშაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაძლო ხარვეზი იქნება ამ პარტნიორის ერთპიროვნული პასუხისმგებლობა.

## 8. მონაცემები სერვისით სარგებლობის შესახებ

8.1 ჩვენ შეიძლება შევაგროვოთ და დავამუშავოთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ იყენებთ ჩვენს სერვისებს. ეს შეიძლება მოიცავდეს თქვენი კომპიუტერის ინტერნეტ პროვაიდერის მისამართს (IP მისამართი), ბრაუზერის ტიპი, ბრაუზერის ვერსია, თქვენს მიერ მონახულებული საიტები, საიტზე შესვლის დრო და თარიღი, საიტზე გატარებული დრო, მოწყობილობის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია და სხვა.

8.2 **ქუქი ფაილების მონაცემები**

ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ქუქი ან სხვა ტექნოლოგია რათა დავაკვირდეთ თქვენს მიერ ჩვენი სერვისებით სარგებლობას ან მოვიპოვოთ სხვა ინფორმაცია.

ქუქი-ფაილები არის მცირე ზომის ტექსტური ფაილები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს უნიკალურ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. ქუქი-ფაილები იგზავნება თქვენს ბრაუზერში ჩვენი საიტიდან. სხვა მსგავსი ტექნოლოგია შეიძლება იყოს „beacons“, „tags“, „scripts“, რომლითაც ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას, ვაანალიზებთ და ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენი სერვისები.

თქვენ შეგიძლიათ უბრძანოთ თქვენს ბრაუზერს რომ უარყოს ქუქი-ფაილების შემოთავაზება, თუმცა, შეიძლება ასეთ შემთხვევაში თქვენ ვეღარ შეძლოთ სერვისებით სრულყოფილად სარგებლობა.
მაგალითის სახით, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ქუქი-ფაილები:

- **სესიის ქუქი-ფაილები** - შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ჩვენი სერვისების ოპერირების მიზნით.
- **პრეფერენციის ქუქი-ფაილები** - შესაძლებელია გამოყენებული იქნეს რათა დავიმახსოვოთ თქვენი პრეფერენციები.
- **უსაფრთხოების ქუქი-ფაილები** - შესაძლებელია გამოყენებული იქნეს უსაფრთხოების მიზნებისთვის.

8.3 **მონაცემების გამოყენება**

ჩვენ შესაძლოა გამოვიყენოთ თქვენი მონაცემები სხვადასხვა მიზნებისთვის, მათ შორის:

- თქვენთვის მომსახურების სათანადოდ გაწევისთვის და ჩვენი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებად
- თქვენი იდენტიფიცირებისთვის
- თქვენი კითხვის, საჩივრის, მოთხოვნის ან რეკომენდაციის საპასუხოდ ან დასამუშავებლად
- თქვენთან ურთიერთობის წარმოებისათვის
- გადახდების წარმოებისათვის
- ჩვენი სერვისების, მარკეტინგული ღონისძიებების, ინიციატივების ან სხვა პრომო აქციების შესახებ თქვენთვის მარკეტინგული ინფორმაციის მოსაწოდებლად.
- სხვადასხვა რეგულაციასთან, კანომდებლობასთან, წესთან ან კოდექსთან შესაბამისობის მიზნით, ან რათა სათანადო დახმარება გავუწიოთ სამართალდამცავ ორგანოებს ან სამთავრობო, სასამართლო და მარეგულირებელ ორგანოებს სხვადასხვა გამოძიების წარმოებაში.
- ტექნიკური პრობლემების აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისთვის.
- ჩვენი სერვისებით სარგებლობაზე დაკვირვებისათვის
- კლიენტისათვის სერვისებში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად
- ნებისმიერი სხვა მიზნისთვის, რა მიზნითაც თქვენ ინფორმაციას მოგვაწვდით
- ნებისმიერ სხვა, ჩვენთან არააფილირებული პირისთვის, მათ შორის ჩვენი სერვის პროვაიდერებისთვის, სამთავრობო, სასამართლო და მარეგულირებელი ორგანოებისთვის (როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ), ამ ინფორმაციის გადაცემისთვის, ზემოთ აღნიშნული მიზნებისთვის.
- ნებისმიერი სხვა მსგავსი/თანმდევი ბიზნეს მიზნებისთვის.

## 8.4 ანალიტიკა

ჩვენ შესაძლებელია გამოვიყენოთ მესამე პირთა სერვისები ჩვენი მომსახურებით სარგებლობის მონიტორინგისა და ანალიზისთვის.

- **Google ანალიტიკა**

Google ანალიტიკა არის ვებ-ანალიტიკის სერვისი ოპერირებული Google-ს მიერ, რომელიც ახორციელებს ვებ საიტზე ტრეფიკზე დაკვირვებას და ანგარიშგებას. ეს მონაცემები ზიარდება Google-ს სხვა სერვისებთან. Google-მა შეიძლება გამოიყენოს ეს მონაცემები რათა განახორციელოს პერსონალურად გამიზნული რეკლამირება.

თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ რომ Google ანალიტიკამ ვერ შეძლოს თქვენს მოქმედებებზე დაკვირვება თუ კი დააყენებთ შესაბამის პროგრამას. აღნიშნული პროგრამა უფლებას არ აძლევს Google ანალიტიკას გააზიაროს მოიპოვოს ინფორმაცია ვებ-გვერდზე თქვენი მოქმედებების შესახებ.

Google-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიეწთ შემდეგ მისამართს: https://policies.google.com/privacy?hl=en

- **Piwik/Matomo**

Piwik/Matomo არის ვებ-ანალიტიკის სერვისი. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პოლიტიკას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შემდეგ მისამართზე: https://matomo.org/privacy-policy

- **Clicky**

Clicky არის ვებ-ანალიტიკის სერვისი. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პოლიტიკას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შემდეგ მისამართზე: https://clicky.com/terms

- **Statcounter**

Statcounter არის ვებ-ანალიტიკის სერვისი. თქვენ შეიძლება გაეცნოთ მათ პოლიტიკას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შემდეგ მისამართზე: https://statcounter.com/about/legal/

### 8.5 სხვა ვებ-გვერდების მისამართები

ჩვენი სერვისის ფარგლებში შესაძლებელია არსებობდეს ლინკები სხვა ვებ-გვერდებზე რომელიც არ არის ჩვენს მიერ ოპერირებული. თუ თქვენ გადახვალთ სხვა ვებგვერდზე, გირჩევთ რომ კარგად გაეცნოთ მათ პოლიტიკას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.
ჩვენ არ გვაქვს არანაირი ბერკეტი გავაკონტროლოთ მესამე პირთა მიერ მართული ვებ-გვერდები და არ ვიღებთ არანაირ პასუხისმგებლობას ამ ვებ-გვერდების მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის წესსა და პრაქტიკაზე.